

ამერიკის ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში,

წარსულის გაკვეთილები

გიორგი შარია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი შარია

22.06.2018

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება აშშ-ს პოლიტიკის ანალიზს კოსოვოს ომის დროს. კვლევა მიზნად ისახავს პასუხი გასცეს შეკითხვას: რა ფაქტორებმა განაპირობა აშშ-ის ინტერვენცია კოსოვოში?

ნაშრომში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის მიხედვით აშშ-ს პოლიტიკა განაპირობა წარსულზე დამოკიდებულების პროცესმა. აშშ-თვის ბოსნიის ომის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ღირებულება, შეიძლება აღვიქვათ, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა აშშ-ზე გადაწყვეტილება ბოლომდე მიეყვანა და დაესრულებინა დეიტონის ხელშეკრულებით დაუსრულებელი საქმე, რითაც ბოლოს მოუღებდა ძალადობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია კოსოვოში ინტერვენციის ლეგალური საკითხი. ვინაიდან ეს იყო ყველაზე ხშირად განხილვადი თემა, რომელსაც კოსოვოში ნატოს ოპერაციის განხორციელება მოჰყვა. ამ ოპერაციის იმპლემენტაცია, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე წარმოადგენდა, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საეთაშორისოდ აღიარებული ნორმების დარღვევას და ქმნიდა მსგავსი ქმედების გავრცელების საფრთხეს.

მეორე მხრივ, კოსოვოში მიმდინარე პროცესების იგნორირება გააჩენდა განცდას, რომ ადამიანის უფლებების ასეთ უხეში და მასშტაბური დარღვევა დარჩებოდა დასჯის გარეშე.

თემაში განხილულია მოსაზრება, რომ აშშ-ს მიერ ბოსნიის ომისას გატარებულმა პოლიტიკამ ჩამოაყალიბა მისი საგარეო პოლიტიკური მიმართულება, რისი გაგრძელებაც იყო შემდგომში მისი პოზიცია კოსოვოს მიმართ.

საკვანძო სიტყვები: *კოსოვო, ბოსნია, წარსულზე დამოკიდებულება, ჰუმანიტარული ინტერვენცია, კონფლიქტები, დეიტონის ხელშეკრულება.*

Abstract

The present Master Thesis investigates US foreign policy during Kosovo War and compare it with Bosnia war Case. The research aims to answer the question: what factors determined US policy towards Kosovo conflict?

The hypothesis argues that US policy in Kosovo was defined by path dependent process, namely policy that was introduced in Bosnian War. Applied US strategy was formed in accordance to the changes in international system and challenges in Balkans intending to reinforce America's position of Superpower and hegemon.

Path dependent theory is utilized to analyze US department decision-making processes and evaluate opportunity cost of alternatives decisions. It is important to demonstrate the main reasons influencing US political elite actions while creating concrete strategy regarding Bosnia in the first place and later Kosovo. The work concerns the issue of legitimacy of humanitarian intervention of US-NATO in former Yugoslav Republics, as well.

Operationalization of Crucial Case Study methodology enabled research to test stated hypothesis and demonstrate validity of Path dependent theory in Bosnia and Kosovo conflicts perspective.

Key words: Kosovo, Bosnia, path dependence, humanitarian intervention, conflicts, Dayton treaty.